

491.71  
6-561

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

## ტარიელ ტარიელის კმ სისარულიძე

ენობრივი სიტუაციის, ბილინგვიზმისა და  
დიგლოსიის დინამიკა  
რუსული და კავკასიური ენების მასალაზე

10.02.03 სლავური ენები  
10.02.09 მთის იბერიულ-კავკასიური (კავკასიური) ენები

## ავტორეზერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომისა

თბილისი - 1999

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრაზე

**ექსპერტები** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ბ. მახაროვლიძე**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ო. კახაძე**

**ოფიციალური ოპონენტები:**

- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – **ნ. შოთაბერიძე**
- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – **ბ. ხუციშვილი**
- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – **ბ. ჭრელიაშვილი**
- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – **ბ. ბურჭულაძე**

**წამყვანი ორგანიზაციები:**

შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება „30“ 06 1999წ. საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P 10.01.C №5 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №1  
დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა „28“ 05 1999წ.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თ. კიკაჩიშვილი**

1731

**თემის აქტუალობა.** ტრადიციულად ლინგვისტური მიმართულების უმეტესობისათვის გარკვეულ ინტერესს იწვევს ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ენის სოციალურ ბუნებასთან, მის საზოგადოებრივ ფუნქციებთან, დიფერენციაციასთან, მასზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიასა და კულტურასთან, ენათა ურთიერთობებთან (ე.წ. ენობრივ კონტაქტებთან) და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში სწორედ ერთმანეთს არ ემთხვევა და ზოგჯერ პოლარულადაც განსხვავებულია (იხ. ჰ. შუხარდტის, ა. მეიეს, ბოდუენ დე კურტენეს და სხვ. ნაშრომები). XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ პრობლემატიკის მიმართ ინტერესი ძლიერდება, რასაც შედეგად მოჰყვა სოციოლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის, ჩამოყალიბება. ამ უკანასკნელს გააჩნია კვლევის სპეციფიკური ობიექტი და ცნებათა და კატეგორიათა შემსწავლელი აპარატი.

ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციოლინგვისტური კვლევა „ისტორიულ პარადიგმათა ცვლილებების“ ეპოქებში, როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნებს გლობალური ხასიათი ეძლევა. მათი შედეგი კი, არც თუ იშვიათად, აისახება შესაბამისი რეგიონების სოციალურ-პოლიტიკურ და ეთნოენობრივ სიტუაციებში. ამ თვალსაზრისით აშკარა ხდება იმ პროცესთა ყოველმხრივი და ობიექტური შესწავლის აუცილებლობა, რომელთაც ადგილი აქვთ ყოფილ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებში. უცილობლად გასათვალისწინებელია როგორც ენათა მრავალრიცხოვნების, ე.ი. რაოდენობრივი ფაქტორი (გენეტიკურად და სტრუქტურულ-ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების მრავალრიცხოვნება), ასევე თვისობრივი მომენტები (ფუნქციურ-კომუნიკაციური არაერთგვაროვნება. შედარებისათვის დავასახელებთ ენას, რომელიც საერთაშორისოდ ითვლება და ერთი აულის უმწერლებო ენას, რომელზედაც რამდენიმე ასეული ადამიანი მეტყველებს).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემით დაინტერესებას განაპირობებს როგორც თეორიული მხარე, ასევე სხვა მნიშვნელოვანი გარემოებანი. როგორც ცნობილია, იმ მიზეზთა შორის, რომელთაც გამოიწვევს საბჭოთა კავშირის შესუსტება და შემდგომ რღვევა, არც თუ უმნიშვნელო